ვინც მოინახულებს ავადმყოფს, რომელსაც ჯერ სიკვდილის დრო არ მოსვლია და მასთან იტყვის შვიდჯერ: "ვთხოვ უზენაეს ალლაჰს, დიდებილი არშის ღმერთს, რომ გამოგაჯანმრთელოს", ალლაჰი მას ამ ავადმყოფობისგან გამოაჯანმრთელებს

გადმოსცემს იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც მოინახულებს ავადმყოფს, რომელსაც ჯერ სიკვდილის დრო არ მოსვლია და მასთან იტყვის შვიდჯერ: "ვთხოვ უზენაეს ალლაჰს, დიდებილი არშის ღმერთს, რომ გამოგაჯანმრთელოს", ალლაჰი მას ამ ავადმყოფობისგან გამოაჯანმრთელებს».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ რომელიმე მუსლიმი თუ მეორე მუსლიმს მოინახულებს ავადმყოფობის დროს, რომლის დროსაც მას სიკვდილის ჟამი არ აქვს დაწერილი, შემდეგ კი მომნახულე შეევედრება ავადმყოფისთვის შემდეგი სიტყვებით: (ვსთხოვ უზენაეს ალლაჰს) უზენაესია თავის არსში, თვისებებში და ქმედებებში. (დიდებილი არშის ღმერთს, რომ გამოგაჯანმრთელოს,) და ამ ვედრებას გაიმეორებს შვიდჯერ, ალლაჰი მას აუცილებლად გამოაჯანმრთელებს იმ ავადმყოფობისგან.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6270